ოქმი №42

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 10 დეკემბერი

ოქმი №42

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 10 დეკემბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მ. კვიტაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: გ. ხოშტარია, გ. კუპრავა, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია, გ. კუცია, რ. ჩაჩავა, ე. ნოდია, ზ. ალასანია;

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის უფროსი გ. ხურცილავა.

დღის წესრიგი:

1. პეტიცია - ტყვირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ტყვირის ცენტრში მინისტადიონის განათებასთან დაკავშირებით.

მომხს: მ. კვიტაშვილი

1

მოისმინეს:

პეტიცია – ტყვირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ტყვირის ცენტრში მინისტადიონის განათებასთან დაკავშირებით.

მომხს: მ. კვიტაშვილი

მომხსენებელმა მ. კვიტაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 3 დეკემბერს აბაშის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის აპლიკაციის მეშვეობით გამოგზავნილი ელექტრონული პეტიცია „ტყვირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ტყვირის ცენტრში მინისტადიონის განათებასთან დაკავშირებით", რომლითაც აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლები ითხოვენ ტყვირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ტყვირის ცენტრში მინისტადიონის განათებას და საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვასა და გადაწყვეტას. მომხსენებელმა განმარტა, რომ პეტიციით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილებას, რის გამოც, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 86-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნული პეტიცია, უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაეგზავნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერს.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკითხი – „ტყვირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ტყვირის ცენტრში მინი სტადიონის განათებასთან დაკავშირებით" საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 86-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერს.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი